

*დამტკიცებულია:  
საქართველოს საფონდო ბირჟის  
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ  
2018 წ. 4 ოქტომბერი, ოქმი N8*

სს საქართველოს საფონდო ბირჟა

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

## სარჩევი

1. ზოგადი დებულებები;
2. ტერმინთა განმარტებები;
3. ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ელემენტები;
4. ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა და ინფორმაციის განცხადება;
5. პოლიტიკით გათვალისწინებული წესების დარღვევა

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. სს საქართველოს საფონდო ბირჟა (შემდგომში „საფონდო ბირჟა“ / „ბირჟა“) წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო სისტემის ორგანიზებულ ბაზარს, რომელიც ასეთად აღიარებულია საქართველოს ეროვნული მიერ.

1.2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო სისტემების ორგანიზებულ ბაზრად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 20 თებერვლის N33/04 ბრძანების შესაბამისად, აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარს უნდა გააჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის გამჭვირვალე პოლიტიკა და ამ პოლიტიკის შესრულების კონტროლის ობიექტური პროცედურა.

1.3. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საფონდო ბირჟის ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკას (შემდგომში „პოლიტიკა“) და შემუშავებულია საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო სისტემების ორგანიზებულ ბაზრად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე.

1.4. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია საფონდო ბირჟაზე ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და მისი მართვის პროცედურები და ვრცელდება საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოს ყველა წევრზე.

## 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. **მმართველი ორგანო** - დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორ(ებ)ი ან/და სამეთვალყურეო საბჭო, რომლებიც წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებენ კონკრეტული გარიგების/ტრანზაქციის განხორციელებაში.

2.2. **დაინტერესებული პირი** - ამ წესის მიზნებისთვის დაინტერესებული პირი ეწოდება საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოს წევრს ან/და ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან/და მეტის პირდაპირ, ან არაპირდაპირ მფლობელ აქციონერს თუ ის, ან მასთან **დაკავშირებული პირი** პირდაპირ, ან არაპირდაპირ:

ა) წარმოადგენს ბირჟასთან დადებული გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს გარიგებისგან;

ბ) ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილის 20%-ს ან მეტს, რომელიც წარმოადგენს ბირჟასთან დადებული გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს ამგვარი გარიგებისგან;

გ) არის იმ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც წარმოადგენს ბირჟასთან დადებული გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს ამგვარი გარიგებისგან;

დ) არის იმ სამეწარმეო საზოგადოების წარდგინებით ბირჟის დირექტორად, ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეული, რომელიც წარმოადგენს ბირჟასთან დადებული გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს ამგვარი გარიგებისგან;

ე) ასეთად ითვლება საფონდო ბირჟის წესდების თანახმად.

ვ) ბირჟასთან დადებული გარიგების საფუძველზე იღებს სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ბირჟის აქციების ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან.

2.2.1. პირი არ ჩაითვლება დაინტერესებულად ამ მუხლის 2.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ:

- ა) ის არ წარმოადგენს ბირჟასთან დადებული გარიგების მეორე მხარეს და სარგებელს იღებს გარიგებისგან მხოლოდ მისი პარტნიორის/აქციონერის სტატუსის გამო;
- ბ) ბირჟასთან დადებული გარიგების შედეგად ყველა პარტნიორი/აქციონერი თანაბარ უფლება-მოვალეობებს და სარგებელს იძენს.

### 2.3. დაკავშირებული პირი

- ა) ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხება;
  - ა.ა) I რიგში - მეუღლე, მშობლები, მშვილებლები, შვილები, ნაშვილები,
  - ა.ბ) II რიგში – დები და ძმები.
- ბ) ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც ფიზიკურ პირთან ახლო საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს ფიზიკურ პირზე, ან თავად იყოს ფიზიკური პირის გავლენის ქვეშ საფონდო ბირჟასთან საქმიანი ურთიერთობების/აქტივობების წარმოებისას.
- გ) საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;
- დ) იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;
- ე) იურიდიული პირის შემთხვევაში:
  - ე.ა) პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
  - ე.ბ) პირის პარტნიორი ან პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინოს ამ იურიდიული პირის გადაწყვეტილებებზე;
  - ე.გ) საწარმო, რომელშიც იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე.

2.4. შვილობილი კომპანია - კომპანია, რომელშიც საფონდო ბირჟა ფლობს 50%-ზე მეტ წილს.

2.5. გარიგება/ტრანზაქცია დაინტერესებულ მხარესთან - მატერიალური ან/და არამატერიალური რესურსების, მათ შორის ბირჟის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, მომსახურებების ან ვალდებულებების გადაცემა ბირჟასა და დაინტერესებულ ან/და დაკავშირებულ პირს შორის მათი ღირებულების მიუხედავად.

## 3. ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ელემენტები

3.1. მმართველი ორგანოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

3.2. ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ძირითადი ელემენტებია ერთი მხრივ - დაინტერესებული პირის ინტერესი კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებაში (პირადი, ან ფინანსური), ხოლო მეორე მხრივ - კომპანიის ინტერეს(ებ)ი ამავე გარიგებასთან მიმართებაში.

3.3. დაინტერესებულ პირს კონკრეტული გარიგების მიმართ შესაძლოა გააჩნდეს პირდაპირი, ან არაპირდაპირი ინტერესი.

3.4. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის „კონფლიქტის“ დეტალური განსაზღვრება, იგი მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დაინტერესებული პირის მიუკერძოებლობა მის მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების პროცესში.

3.5. გარიგების მონაწილე „პოტენციურად“ დაინტერესებული პირი გარიგების დადებამდე პასუხისმგებელია თავად გააკონტროლოს ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა წყარო და იზრუნოს ამგვარი კონფლიქტ(ებ)ის დროულად გამჟღავნებაზე.

#### **4. ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა და ინფორმაციის განცხადება**

4.1. საფონდო ბირჟის მიერ განსახორციელებელი გარიგებები უნდა დაიდოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, თუ გარიგებაზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება აქვს დაინტერესებულ პირს. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება საფონდო ბირჟასა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის.

4.2. დაინტერესებული პირი ვალდებულია, დასაძებ გარიგებაში თავისი დაინტერესების ფაქტის, გარიგების ხასიათისა და მოცულობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს.

4.3. გარიგება დაინტერესებული პირის მონაწილეობით წინასწარ უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ამ საკითხზე ხმის მიცემა სამეწარმეო საზოგადოების ყველა ორგანოში.

4.4. თუ პირმა არ იცოდა, რომ დადებულ გარიგებაში თვითონ იყო ამ პოლიტიკით განსაზღვრული დაინტერესებული პირი, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი დაინტერესების ფაქტის შეტყობისთანავე.

4.5. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაინტერესებული პირია, , გარიგება უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა კრების მიერ.

4.6. გადაწყვეტილება იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა დაინტერესებული პირი, უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთი პირის დაინტერესების ხასიათზე, მოცულობაზე და გარიგების სხვა მნიშვნელოვან პირობებზე.

4.7. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისთვის ცნობილი იყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის და სათანადო ნებართვის არარსებობის შესახებ, საფონდო ბირჟას აქვს ასეთი ხელშეკრულების შეცილების უფლება.

## 5. პოლიტიკით გათვალისწინებული წესების დარღვევა

5.1. პირები, რომელთაც საფონდო ბირჟის მიერ განსახორციელებელ გარიგებაზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება აქვთ, ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5.2. ამ პოლიტიკით გათვალისწინებული წესების დარღვევით გარიგების დადების შემთხვევაში, დამრღვევი ვალდებულია ანაზღაუროს საფონდო ბირჟისათვის ამ გარიგების დადებით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისას გარიგება დაიდებოდა იგივე ან არსებითად იგივე პირობებით.

5.3. პოლიტიკის დარღვევით საფონდო ბირჟისათვის მიყენებული ზიანი წარმოადგენს აგრეთვე მმართველი ორგანოს წევრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს, აგრეთვე დამრღვევი ვალდებულია დათმოს საფონდო ბირჟიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და ანაზღაუროს ზიანი.

5.4. დამრღვევი პირების მიერ საფონდო ბირჟისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს, ან აქციონერთა ჯგუფს.

5.5. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე პოლიტიკით, რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.